ნოდარ ჯიბლაძე

ფორმატი და სურათები:
პაატა პაპავა და ნუკა კალავიშვილი

ფორმულებში, თეორემებში, ჰიპოთეზებში, ხიდვებში...

რედაქტორი: პაატა პაპავა
ფორმატი და სურათები: პაატა პაპავა და ნუკა კალავიშვილი
დამკაბადონებელი: ნუგზარ არჩემაშვილი

© ნ.ჯიბლაძე. 2025

ნოდარ ჯიბლაძე

ფორმატი და სურათები:
პაატა პაპავა და ნუკა კალავიშვილი

ფორმულებში, თეორემებში, ჰიპოთეზებში, ხიდვებში...

2025

ეს ლექსები არ არის რაიმე თარგით მოჭრილი და შეკრებილი, მათში არა ჩანს საერთო ხაზი მიმართების, არ იკითხება და, საერთოდაც, ეს არ არის „ლექსების კრებული“; სხვადასხვა დროის და განწყობის შედგომებია უფრო, სოფელს რომ მიჰყვები კვალდაკვალ და შეჩერდები ხოლმე, დროდადრო, უნებლიეთ, შეაჩერდები მისი სახის გამომეტყველებას, ნაკვთებს, მათზე გარდამავალ ფერებს და ელფერებს... ეს მათი ნაკვესებია, ეს ლექსები, მიმობნეულნი აქეთ და იქით, სივრცის ერთ ნაკვეთში არიან უბრალოდ მოქცეულნი, თითო-თითობით მოკრეფილები ცხოვრების გზებზე, წლებით...

ვუძღვნი შვილიშვილებს, მათ თაობას...

თ ა უ რ ი

ერთ მოძახება ქართულად
მიღირს ცხრაგვარად შეფერვას,
ერთი მოხეთქვა კაცურად
ღირსი არს ცნობად ჩვენისად!
ერთ მოწვეთილი სანთელი
სითბოდ ცხადს ღმერთის წვდენისა,
სიტყვა, სისხლ დაპკურებული,
დამძლევად გვიჩანს ბედისა...

გ ზ ა მ კ ვ ლ ე ვ ი

ეცადე გადაარჩინო სრულქმნილება,
– თანადროულობის კატასტროფულ
ვითარებაში იხსნა სრულქმნილების
იდეა, – იდეა წარუვალობისა და
თავდადებული შრომისა, რომელიც
ისევე მშვენიერია თავისთავად,
როგორც თვით ამ შრომის შედეგი.

პოლ ვალერი

აქ დაიმუხლე,
ვინძლო კიდევ ბედისწერა გავახვალისოთ!.
იქნებ მყობადის საღვთო ცეცხლიც,
იქნებ სათვისოც
და მაინც
ნებას ჩვენსას მოგებული უცნო სამოსად:
ან გამართლებად, ან – დამარცხებად..
აქ დაიყუჟე,
მკვიდრობაში მომუჭე ხელი,
სუნთქვით ჩაკუმე
კვეს-აბედი,
საგრობის ჯერი –
ვინძლო კიდევ ბედის ცქერა გავახალისოთ...

ს ი ც ო ც ხ ლ ე

ეს რაღაც სხვაა –
უტყვი სიმღერა,
როცა სიტყვების ხმევის სანაცვლოდ
ხმა გაიწვდება,
ვით გულის წირვა!.
ხან გაჩვილული,
ხან – თქეში აწმყოს..
ეს რაღაც გზაა..
როცა გულფეთქვა
არ ეძიება სახელთა სამოსს,
 არ დაიღლება მტკაველთა სინჯვად,
და გაიღვრება!.
ვით ჩქერი – ტაფობს..
ეს რაღაც წვაა...
ყველას რომ ახსოვს,
ყველამ რომ იცის,
ყველას რო ათრობს!.
ეს სისხლის სვლაა!.
ძარღვებში სახლობს,
ო! დააყურეთ! –
ვითარ ღაღანობს.....

ს ა ხ მ ი ლ ი

ფერები: მაყვალი, ალუბალი, მსხალი,
მზის ჩასვლა, ზღვის ლივლივი,
ნაკადულის ფსკერი, მერქანი...

ფერები: ნიჟარის ფუღუროს შუილი,
წყაროს რაკრაკი, ღრუბელთა ღვლემა,
ტალღების ქაფქაფი, საღამოს შრიალი...

ფერები: ვარსაკვლავთა ცვენა, მთვარის სრიალი,
მთის ამოზიდვა კუნაპეტში თანდათან,
ჩრდილის ლასლასი ზაფხულში, უდაბნოს ქარავანი...

ფერები: გამოღვიძება... დაძინება...
სიზმარი.....

შ ე დ გ ო მ ა

აქ რა სილაღეა,
ყვავილთა სურნელი,
სხვა რამ სიცხადეა
თუ ძველი ხნულები,
გულის სიმართლეა,
მართლაც რომ ულევი...

წ ე რ ი ლ ი

მომენატრე..
იქნებ მიტომ,
იქნებ მიტომაც წამოველ,
რომ სურვილი შენის ცქერის!
არაოდეს
დანაოქდეს..
მომესალტე...
იქნებ უფრო,
იქნებ უფრო დავმარტოვდე,
რომ კუთვნილი ალის შხეფი
არ დაღრძოლდეს!
არ გაობლდეს!.
მომეკვართე.....

ღ ი მ ი ლ ი

ვიღაც ღიღინებს, ჩუმილში
ხმა მიაქვს პეშვი-პეშვით,
გადაირწევა სურვილში,
მისდევს ნაბიჯით, ნელით..

რაღაც გიღიმის ნუგეშში,
თითქოს გეხება ხელით,
ჩაჟონა გულის უბეში,
მოალბო კედელთ ბჭენი...

სხივი კანზე გაცრიალდა,
ლოყას დაეტყო ფერი,
თვალში გუგა ახმიანდა,
სივრცე აივსო მზერით..

ჩვევით დღე ღამეს მიადგა,
ცისფერი ლურჯში შთების,
ვარსკვლავთ ციმები ფრთხიალდა,
მთვარე გადმოდგა ვერცხლის...

შ ე ხ მ ი ა ნ ე ბ ა

ჯერ სულ ადრეა,
საათი ღამის,
სარკმელს ფთილები მოპენტილია:
სიბნელით, სანთლივ..
გულშიც სიტყვები განტევილია
თვინიერ კრძალვის,
ჩქამთა სიმქისე განელილია –
სიბაცით ჟამის!.
ჯერ სულ ადრეა:
საათი ხვალის...

წ ყ ო ბ ა

დღე და ღამის ყველა დროს
ვიღაც დადის ქუჩად,
ვიღაც ნაბიჯებს ატყობს,
ვიღაც კრიფავს უკან...

ცხოვრება

კედლის იქით სხვა სახლია –
სხვა კერა, სხვა ოჯახი;
თხელ შორისში ხმა გადმოდის:
ხაფი, მწყალი, მცონარი...

ბუნება

ჩამოჰყვნენ სხივები ჰაერის მსხმოებს,
ნაცრისფერს ჰკვირვობდა ფერადი ლიცლიცი,
ღრუბელთა ქულები ყელობდნენ ზემოეთ,
ზღვა შეუსვენებლივ გზას თხრობდა ქვიშის ხმით...

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა

თუ მოიქეცი, აქეთ ან იქით..
რაღაცას სტოვებ..
სადაც იყავი...

ს წ რ ა ფ ვ ა

სულ ზემოთ ააქვთ, თხემით, ფოთლები –
ამ მაღალ ხეებს,
და წვეროები სულ ირხევიან –
ფოთოლთ შრიალით!.
სულ ლუტი რჩება ტანი მათი –
სწორფერთა შორის:
დათამაშობენ იქ ციაგები...
ზენარით ღელვას მკვიდრად მისდევს
სვეტთა ქანება –
ვით ატატება განრთხმულ სხეულის!.
და ერთი რჩება მათი ძახება:
მზით აკვესილი...

ზ ღ ვ ა ზ ე

ზაფხულის ღამით
მთვარე მიწანწალებს ცაზე
ცხელი დღის მრეშით გამოლეული,
კვერცხივით გადაბრეცილი
მხარზე...

ს ხ ვ ა ო ბ ა

ძალიან როცა გცივა,
და ძალიან როცა გცხელა –
ტკივილს ნებდები:
ერთი თეთრია,
ერთი წითელი...

შ ე გ ო ნ ე ბ ა

მაინც სიმკვიდრე ახლავს ამ ყოფნას:
მზის მთით დაშვებას,
მთვარის ადგომას...

ს ა ხ ე ბ ა

მწუხრის ჟამი,
ალისფერი დასული,
უძრაობა,
სიოს ფრთილი ხელი,
გულისთქმათა მინავლული ხავილი –
ზაფხულობა, ესრეთ ძველი, ძველი.....

გ ა დ ა ს ვ ლ ა

შეყოვნდება, ერთის წამით, ფხიზლობასთან,
გონი...
თითქოს ისმის კიდევ ზარი,
ამოხდება კიდევ ჩქამი,
დღით აავსებს გრძნობას!.
თან მოიტანს თნობას..
ძილის კართან, შეყოვნდება, ერთის ხანით, გონი...

ფ ი ქ რ ე ბ ი

მადლი თქვენს ენას ფრთამალნო,
მადლი თქვენს მღერას ხმიანსა,
დაცლილი თასი სანაცვლოდ
აღმივსე მწდეო ციაგთა!
ცხოვრების გზაო, შარაო...

დ ა კ ვ ლ ა ვ ა ც

გაიღვიძა დღემ,
დილა იშმუშნება,
სხივი ამხელს მზეს,
შუქღვრა რომ იწყება!.
სიჩუმე ყვითლდება...
ღამე იფიტება,
ჟამი მიყუჩდება,
ფერი აყვირდება,
ცის კიდეს მიწვდება,
წითლად! აყივლდება!.
ისევაც, თენდება.....

ომარ დურმიშიძეს

გემი ირწევა, როგორც სტვირის ხმა,
ოღონდ ზღვა არ არის
ახლო..
სივრცე აქანავებს
ფიქრების თილისმას,
ჩრდილები მიდიან სამყოს..
თეთრი ღამეა,
მით, რომ სინათლეა,
ალბათ მიტომ ვართ ერთად!.
თბილისზე ღამეა,
ხილვის სავანეა
და ჩუმად ვმღერივართ!
ჩვენსას...

მ ე ს ვ ე ტ ე

პური არსობის,
ოდენ მცირედი –
და დღე ცისმარე,
და ღამე ვრცელი!..

ს ი მ ა რ თ ლ ე

უბრალოდ კვდება
ბედთა წმახნაში
კაციც...

შ ა მ ი

არღავინ დარჩა ამბის მომტანი,
ანუ ამბავი აღარ ითხრობა,
ღათუ ხალხია ირგვლივ უშქარი,
გარნა ყოველი ჩვევად ირჯება..
ჩვევამ გაბლანდა ყოველი არსი,
სინათლე არის, თანავ – ბინდდება...

მერაბ მამარდაშვილს

..მიდიოდა, და ფიქრობდა,
ანუ! – მიდიოდა, ისევ..
და არე ისე სუნთქავდა,
როგორც იხსნებოდა შორე..
როგორც ინთქმებოდა ხვეულში
მისი აჩინჩხლული ლანდი:
მიდიოდა და ფიქრობდა,
ანუ – მიდიოდა ისევ...

შ ე ხ ს ე ნ ე ბ ა

დღე – ცის მარეა,
მშობი ციაგთა,
ათინათებში: თრთოლება სუნთქვის...

ბ ა რ ა თ ი

ოცნება მწადდა შემეთხზა შენთან,
ხაჩხაჩა ფერთა წნული ქამანდი,
ვერ გავიხსენე მხოლოდ სახელთან
რა იკმეოდა სხივის ანათრთი?.

ცხოვრება მწყურდა მეკონა შენთან,
დრო-სივრცის კვალში გულის ღაღანი,
გადამავიწყდა მხოლოდ სახება –
მანანა გერქვა ცის ღათუ, ამ დღის..

სამოსი ფრთილი განძარცვა მთვარემ,
განავთო კვართი მნათობთა წყებამ,
და მონუსხული სხივი გაბაცდა!.
განქარდა იგი, ვით მოჩვენება...

მ ღ ვ ი მ ე

მთვარემ დაჩურჩლა ეს ღრუბლი, მსხემი,
თუ ეულობას გაუწეწია!.
არა ატოკებს დაფლეთილ სხეულს,
ნაწებურები ყვითლად ებნია...
ლბილი სინათლით გაბუჟებული:
ზე – ცის თავანი,
ქვენ – დედამიწა,
და უსახლკარო ღრუბელი შორის –
მთვარის სავალი,
წამობა, მყისთა...

შთენა

შერიგებული სახე მქრქალ ნაოქთ ღიმდება,
მხოლოდ – უსულოა,
რეცა – უხიბლოა...

კავები

შორისი, მღვიმე, სოფელი, –
რკალი...
სამოთხე, ზენა, ეშმაკი, –
ქარი...
სიცოცხლე, შთენა, მაშვრალი, –
კვალი...
ალი, სიჩუმე, ღაღადი, –
კარი.....

მ ი დ ე ვ ნ ე ბ ა

არც მობრუნდება..
არც მოიხედავს,
გზას მიუყვება კვალდაკვალ:
ან თუ იმედი, გადაუწურავს!..
ან, თუ სიმართლე, უნახავს..

ქ ა რ ი

სულ არ აწუხებს ეს ძრწოლა,
ხეებს რომ ბურძგლავს ტოტებით,
სახლებს რომ შვლიპავს, რომ ღმუის
ჰაერი მისი მობერვით..
მასაც თუ ასტკიებია
გულ-ღვიძლი უსასოებით,
სიყვარულ მოსწყურებია
და არა ვინ კი მოელის!..
ძაღლი წკავ-წკავილს აყოლებს,
რაღაცას ატყობს შორებით,
ალბათ თუ სინანულისას
მარტოდ შთენილის სოფელის...

ცნება

წუთი-სოფელი...
დღე, საუკუნე – რაღას იქმიან!.
თუ არც იღვწიან,
ვერც რას იტყვიან..
იკრიბებიან მხოლოდ წუთობით,
ასე წვეთობით,
და ამას ყოველს სოფელი ჰქვია!
წუთისოფელი...
წუთით მოსული და განფენილი,
და დაწყევლილი,
და აღდგენილი!..
დამაშვრალ სულს რომ ეხმიანება,
რომ ეხარება,
და ეშინია...
არა დღე-ღამე, ან საუკუნე,
არამედ ერთურთს მიყოლებული,
შეუღლებული
და დაკარგული
მარცვლები მყისთა!. –
წუთი.. სოფელი...

რ უ ს ე თ ი

ვრცელი ბარი,
გაბორცვილი შორი-შორად,
ვით ზღვის გული – ხმელეთი,
დამხობილი ზე გუმბათი,
კიდეთ წვნამდი – ცარგვალი!
თეთრი ღრუბლი ველს მიჰყვება,
მას ვერ სცდება – ხმელს ეკვრის,
ხან ბურუსად გაიშლება,
სობელ ბინდში ფერებს შლის!.
ყველა მხარე ერთ გზას ყვება,
ყველა ჟამი ერთ დღეს ხსნის..

მ ი ს ნ ო ბ ა

ყვავი.. –
გრძელს ნიშნავს
თუ მუქს...
ხალი... –
წვეთთ კრიბავს
თუ! ღრმულს!.
ალი!.
დღეს მიაქვს,
თუ, უტყვს..

ც დ უ ნ ე ბ ა

დღეს სხვა დროს სჩერდე –
საძლისი არის:
წინ ანუ – უკუ..
ასევე იყო, ყოველთვის,
უკუნ...

გ ა ნ წ ყ ო ბ ა

ცორვით გადადის დრო შუაღამეს,
გულში წუხილი გადაირხევა,
რაღაც რიდია და მოწიწება,
გადავსებული ყოვლით რინდება..
ცონვით გადადის დრო შუა ღამეს...

გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა

ყოველთვის არსებობს სხვა,
გარდასულს არ მისდევს მზერა,
სხვა სახის იერი, ხმა,
ოცნება, მერმისის თნევა..

ყოველთვის არსებობს სხვა,
მალამოდ წარკვეთილ დღეთა:
კვლავ სიხარულის გზა,
აღზევება და – შთენა..

რაღაც სიხარბეა მზა,
გაჩენით მოსული ჩვენთან...

ა მ ბ ა ვ ი

გრძელი მოთხრობა,
გრძელი სიზმარი,
უცხო გზის კრთოლვა,
მავალთა კვალი,
გამოკიდული ქარის წრიალი,
ობოლი მთვარის უხმო სრიალი,
გადანასკვული ბილიკთა ჯვარი!. –
ვის ვინ შეხვდება..
ვინ საით არი...

ლ ო ც ვ ა

ილია ჭავჭავაძეს

„თქვენ გაგიმარჯოთ, ფიქრნო სპეტაკნო
და სასოებას სურვილის მიღმა,“ –
ფარატინივით თენთილ სინანულს
მისდევს გულისთქმა...
„თქვენ ამიტანეთ გზნების ფთილებო,
თქვენს სორსალებში მიყუჩეთ წირვად!.“ –
გადაიბადრა შუქით თვალსახმო,
თითქო აფეთქდა სკნელი შინიდგან!!.
„თქვენ დაიფარეთ ჩემი სამშობლო,
ანგელოსებო, სევდილნო ცისად...“
წუთი არწევდა ჰანგებს სანდომოდ,
„ზვარაკ მყავ მისად.....

შ ო რ ი ს ი

ღამის უძილობამ
ფიქრი გათანგა
მოკუმულ უპეთა ბინდში...

პ ა ს უ ხ ი

რად არას გეტყვი..
პირიქით! თავს ვერ ვიკავებ წყრომით,
ერთთავად შენთან ვჩურჩულებ,
ოღონდ.. – ფიქრებით, ხმობით..
რად არ შეგხვდები?
ვინა სთქვა!? ვერც კი გიცილებ თხოვნით,
სულ თვალთა ფერში ფუთფუთებ,
მხოლოდ!. – სიზმრებში, ფრთოლვით...
ერთად მიწა დავიარეთ,
თნობით გავწონეთ დრონი,
სამკაულები მოვნახეთ,
ალიონს შევხვდით კოცნით..
ცაზე ოცნება შევკიდეთ,
ყვავილნარების ხომლი,
გულს ჯავრი არ შევინახვეთ,
ბილიკ ვამჩნიეთ სრბოლვით!..
...განაღა რა ვქმნა, პირისპირ
როს შევხვდეთ – ფერით, ხორცით?..

მ თ ა შ ი

წამოიშალნენ ღრუბლები,
ღამით სვენილნი ხევში,
ჰგავს გაზმორებას ბუნების
მათი განწოწვა მთებში!.
ესე უჩივლად განიქრნენ,
გადნენ, ვით თოვლი მზეში.

ს ა ლ ი ს

და გადავიდა
ვარსკვლავცა
იქით
ცის დასავალზე
ზღვას გადაეშვა...
აქედან არ სჩანს
არმური
ზღვისი
მაგრამ შხრიალებს
სადღაც
ნამდვილად!.....

შ ე ხ ვ ე დ რ ა

სურვილი, სანდომიანი, სიოს ნატრობდა,
დანანაობდა უძრაობაში,
ესე ლოდინი ისე ათრობდა,
გადაავიწყდა წამის ბოგინი!.
ჩამოაღამდა..
სიბნელის სუსხი შემოებურა ანაზდეულად,
მის ათრთოლებულ ბაგეს ასხურა
სურნელებანი სხვა მოლოდინთა!.
კვარად ღიმღამდა, მისი, კუთვნილი,
და – შეეშინდა უსასრულობის...

ქ ა რ თ ვ ე ლ ი

მოძალებია ბაგეს სიმუნჯე სასტიკი:
ვერ დანებება ძველი,
ვით მიწა
შენი!
და გულში იცინის უგლიმი,
ბასრი დუმილი,
შესაქმის ცეცხლის მგრძნელი.

ა ღ ი ა რ ე ბ ა

ხან გული ითხოვს სოფლით განდგომას,
გონი ზოზინით გაერიდება,
ნება ღვენთს სინჯავს ყრუ გარჯის ალთან,
ცნობის მიჯნასთან გაიბუდება..
და ჩვევა ზეობს –
ჩვევა სუსხდება!..

კ ვ ა ლ ე დ ი

როგორი ფერია,
შუქიანი მწუხრი,
სარკმელის ნაკვეთში,
სიმწვანე ბაცი...

შ ე მ ო დ გ ო მ ა

ქარი თუ წაიღებს
ამ ფოთოლთ ცვენას,
მიწას მოძებნის
და მიაბარებს
გაფერთხილ ფერებს;
აქ ხე დარჩება,
ხე განძარცვილი –
აჩრდილის რქენა,
რომ არას გერჩის
და არას გატკენს...

კ ა ვ შ ი რ ი

გადაძახება ფიქრმა იცის
დროიდან დროით
გულს რომ აჰყვება
და სიტყვას იცნობს
გულისთქმით შობილს..

ც ო დ ნ ა

ანუ სამყარო ნიშნავს დასასრულს,
ვით უბე სოფლის,
ვითარცა გული...
დაიხარჯება სოფლის დატევით:
ვარსკვლავთ სიმრავლით,
ხომლთა სიწვართით,
ვრცელი სიჩუმით!..
და დასრულდება წუთისოფელი –
კაცის და მყარის...
დროის უფება...
– მას ყველა ახსოვს, სიბრძნეს, ნუგეშად..

ზ მ ო ბ ა

თხზულ კაუჭებში აგორგლებს სიტყვებს:
ჩვენ, ესე იგი – მე, შენ, ის,
ცა, მზე...

გ რ ძ ნ ე უ ლ ე ბ ა

შავ-თეთრ ხვიებში დღე-ღამე მიდის,
დასაბამ-დაუმთავრელი,
გამეორება, ვით ჯადო, იწვის,
ივსება მდუმის თვალები!.
ცა-მიწა ერთურთს შეკვირვებული,
შუამავალთა დასები,
მზე წითელ შრიალს ჩასვენებული,
მთვარის ცახცახა სახელი!..
ისევ, ჩვეულად, გადაწვეული,
ცის თაღი, მტკაველ-მტკაველით,
გამცილებელთა გუნდი გრძნეული,
ჩურჩული, დაუსახველი...

ს ვ ლ ა

მე ვიმეორებ იმ აღტყინებას,
იაკობს ღვთისკენ რომ მიახედებს,
იმ მიჯნურობას, ღვაწლში რომ ჩათქვავს
მშვინვა მსასოვე!..

მე ვიმეორებ სულისკვეთებას,
ამართულობას მოშვილდულ ყრმათა! –
მათ გაქრილ კვალთა
მზერა თან მისდევს...

მე ვიმეორებ უსუსურობას,
დახაფრულობას უსასო გულთა!!
გზავ – გრძელ ფიქრს ვიკმევ:
გულის სიხარულს, და გაწამებას,
აზრთა ხელებას – კაცი რომ იჩემს...

მე ვიმეორებ, და დრო ჟამთ ითვლის,
სივრცე ბრჭეთა თხზავს:
მერმისი მიღებს.....

შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე

დრო ტყვევებული,
უძრაობის მტკნარი სრიალი,
სადღაც დარბიან საათების მძაფრი სინჯვანი!.
აქ – მორევია:
ქვე ჩაგიტანს, ზე აგიცაცებს,
ამ ღაღაობით ჟამს აავსებს, ააჭრიალებს
და ისევ უკან! წყლის ორმოში,
ფსკერის ნიშვნამდე
და ისევ ზევით! –
ჰაერობის მფრთხალ შხივილამდე!..
დრო უგემური,
მშრალი ქვების მხმარი ჟღრიალი...

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

არარაობა... ესე იგი უსახელობა:
ყოველი ერთად,
და ცალ-ცალკე,
და – აღრეული..
არასქმნადობა.. ესე იგი მუდმივი ქშენა:
და არას რქმევა,
არა – ნაგები!..
მარტოდენ შუღლი, უცხვირპირო,
საჭურველთ ქნევა, და არას ძლევა,
არა სანთელი..
არასახობა.. – რომ დაშვრება საწუთროს თნევა,
შენ კი ვერას ცნობ!
ვერას ეტრფი,
ვერრად დაშთები...

ს ა თ ქ მ ე ლ ი

ყველა ღმერთს ეკუთვნის:
მცდარიც და მართალიც,
სუფევის მძებნელიც
და ავის მზრახავიც!
ერთია საძნელო –
რომელი სად არი...

გ ა რ ჩ ე ვ ა

საგრობს სხვაობა სიტყვებს შორის:
არის – ცხოვრება,
არის – სიცოცხლე.....

გ ა ყ ო ლ ა

დაღლილია თითქოს არე,
მწუხრია,
თენთი დასდევს ლურჯ სიფართეს
ბაცად,
ბაცად ყვითლობს თვით მთოვარი,
მდუმრია,
ასე უხმოდ მიუყვება
თავანს..
ზანტად მოდის ღამე,
თანდათანობით,
ვერ მკვრივდება, ისევ ფერი
ძაძავს,
ჩვილი შუქი,
თითქო რაღაც მურები,
მობურვია ძლივად თეთრულ
მთოვარს,
მასაც ლბილი შუქი მოძალებია –
ლბილ ქავლებად,
სიფრიფანა კვალად!.
ზაფხულია,
გიბუჟდება სხეული,
უნებლიეთ მისცემიხარ ტალღას...

მ ო ხ მ ო ბ ა

ზარია, მოზომვით გაბნევა წრეთა,
ერთია წყარო და ერთი – თვალი,
ხვნეშას ჰგავს წიაღის, სიჩუმის ამოსკვნას
და ცათა ძახილს..
ქარი მოვარდნილი ტალღებს ახვეწავს,
გადმოაყეფებს სიშმაგეს მაღლით!!.
და ისევ ზარია,
წრეთა გაბნევა,
წყარო და თვალი...

მ ე ყ ვ ს ა დ

შემოხსენდება ბავშვობის ნაღვლი:
ბჟუტა ნათურა ყვითლად მიმქრქალი,
შეშტერებული კედელზე თვალი,
ქერი, სიღუე, სარკმელის ალი...

ნ ე ბ ა დ

მოღუღუნობს წყალი
წყალი
დღის ხმიად ფერს ალბობს
ალბობს
ჰანგთა წყნარი ქავლი
ქავლი
ყვება ტრფობის ტაროსს
ტაროსს
ვით ევნება გული
გული
ცისკიდურზე მნათობს
მნათობს
ვით ლტოლვილობს სული
სული
აღუებულ ტატნობს
ტატნობს
მოღუღუნობს წყალი
წყალი
ხმის სინანულს გალობს
გალობს
ჰყვება კაცი ხანვით
ხანვით
და დუმილში ალღობს
ალღობს

მ თ ა ვ ა რ ი

არ დაგავიწყდეს,
რომ მე მიყვარდი
დაუნჯულ ფიქრში შემონათებით,
და თუმც სახელად არა გითხარი,
ოდენ ის იყო ჩემი სარკმელი..
არ დაგავიწყდეს,
რომ მე მიყვარდი
ცხელი დღის მრეშში გრილი ფანტელით!.
რომ ეს ალერსი იყო ნათელი,
როგორც სათქმელი, როგორც სარკმელი...

შ უ ი ლ ი

როცა მოყვასს ელი
და შემოღამდება,
სულისწამღებია სიჩუმე...

ᲨᲘᲜᲘ

როგორ გარბიან ღრუბელთ ჩქამნი,
დასალიერზე!.
აქაფებული ნაფლეთების
ხმათ საწიერზე
გასერავენ ცისფერ გუმბათს,
დათქარუნობენ
და სხივების ანარეკლში,
აწყვეტილ ჩქერში
აკვალთებენ მომდგარ ხურვილს,
ადგაფუნებენ!!.
შუქი კანკალებს მათს წვივებში,
აიწკეპლება,
აწეწილი ნაპერწკლებით
დაიპენტება
და! დაბერდება!.
მსწრაფლ ხვიებში გაგუდებული,
დაიფერფლება –
გასწრაფების ალში ღველფული...
ვერარა უძლებს
ამ ჩქარობას,
ამ მოზვავებას,
მარტოდენ უსმენს
გარინდული მიწა
ზე მორთხმას.....

ზ ა ფ ხ უ ლ ი

ნიავის ლაციცს ცხელი ღამე ზანტად ჩაირთავს,
ტოტზე ფოთლები დროხანობით შეირხევიან,
მიყუჩდებიან, კენწეროებს გადაირბენენ,
დაირწევიან, კვლავ მცვრივ როკვად განიბნევიან!.

ნიავის ლაციცს ცხელი ღამე ზანტად დაჰყვება,
ხელში აიყვანს და არეში ფთილებრ განანქრევს,
შეიშმუშნება და გრილობად დაიქსაქსება –
კვლავ სამყოფელად, კვლავ სავანედ: ღამეც და არეც..

ნიავის ლაციცს ცხელი ღამე ზლაზვნით გაჰყვება –
თენამდე, ცამდე...

შ ე კ ი თ ხ ვ ა

ვის მოელის ბნელი ღამის?
რას მოითხრობს სიჩუმე?
რა გათბება ცივი მთვარით,
ლურჯში ვინ დაიყუჟებს?
ვით მოჰყვება უკუნს ალი?
რად იქმნება ხვალის ხსტე?

. . .

ხვალ დაივიწყებს,
სამოთხეს შუქვსილს
რომ შეემთხვია
მწყურვალე გული!.
ხვალ სხვა დღე არის..
ანუ ცხოვრება..
ანუ საუფლო –
სხვა სიყვარული...

ხ მ ა

კარზე მომდგარი ზაკვის მგონელი –
ო! არ გაუღოთ!.
მოჩვენებაა
როგორც ყოველი,
რაც მოილოდა და – არ დაიწყო...
თუნდ წუთრის ცრემლი,
რომ აღარსა ჰბანს,
მხოლოდ მოსიციქნის კვალედს,
კანს ჩაუყვება
მაგრამ – არ კაწრავს,
არ წვავს სიმლაშით თვალებს!..
კარზე მომდგარი ზაკვის მღონელი..
ჩქარა გაუღეთ!!
იქნება მოაქვს რამ სახმობელი,
რამ საცნობელი,
თუნდაც ერთ დღისა!. –
როგორც ყოველი,
რაც მოიტანა, და თან წაიღო...
ზაკვის მწონელი..
კარი,
ფარღალალა,
გაჭრიალდება.. – აქეთკენ!
იქით..
ვითომ თავისით,
და ვითომ არა,
დაგუბებული ზრიალის ხრინწით...

ზ მ ნ ო ბ ა

ვით განიწმინდოს გზა მშვინვიერი?.
„მხოლოდ სიწრფელით!.
წრფელ აღტყინებით..“
ხანი მობრძავი..
„გასალიერით!“
ვით დაიუნჯოს გულმა სრულქმნილი!?
„ნათლის იმედით!
მავალთ რომ ახლავს
ანთებული ხვალის სხივებით...“
შეისმი მკვალო..
„შესმენილია და განგებული...“

გ ა ც ხ ა დ ე ბ ა

ჩემულეთი..
ღმერთულეთი..
გზეულეთი..
გრძელულეთი.....

ს ა მ ა ნ ი

ის სულ მცირეა, საუფლო ჩემი,
ეს დედამიწა, დრო – ერთი პეშვი,
და ერთი მუჭა თავისუფლება:
სურვილთ ხლართები,
გრძნობათა ჩქერი..
სამყარო ვრცელი – თავსდადგომილი,
ის ცივი სიო: შორეულ ფერის:
ლურჯი სიღუის, ცთომილთ ნათების –
უსაზღვროობის, დაუთქმელობის!.
შორეულ გზების...

ის კი მცირეა, სულ ერთი ციდა:
ჩემი საუფლო: ცხოვრების ბინა..
და ერთი მუჭა თავისუფლება:
სილაღე ფიქრთა...

ს ვ ე

ბედმა ხვედრი შეთხზა,
ოთახი-სენაკი:
ფართე სანათურში დღე შუა ღამემდე..
გულის და გონების
ბჭობა და ქიდილი –
სოფლის ქირ-ვარამზე..
ბედმა ხვედრი შეთხზა:
დღითი-დღით, ხანობით
მოზომა საკვართე...

ბ წ კ ა რ ე დ ი

შემოფარგლული არის კავებში კაცი ცეკვავდა,
ადამიანი:
ხვეულებს რთავდა და იგონებდა და აგრძელებდა
დასალიერში!.
შემოფარგლული არის კვალედში...
ტოკვა რხეული სხეულის წვართით ეყინებოდა უცაბედ
გზნობას,
გაიშლებოდა გაშმაგებული ცალკეულ ასოთ
გრძნეულებრ როკვად!!
გარინდებული ოცნების ტევრში გაიფრქვეოდა მყისთა
კვესებად,
ურთერთს ჩაწნავდა გრძნობას და ხალისს და
სიხარულის ამაოებას..
შემოფარგლული არის ნამცვრევში..
ხელ-ფეხს ვერ შლიდა და სივრცეს თხზავდა
ლურჯი ფოთლებით, მსიცხი ზმანებით, მეყვსეულური
მონაქარგებით...
ვერ იხსნებოდა და სურვილს კლავდა ცეკვის ხვიებში
გაძირვებული.....

წ ა მ ი

თნობით გამზერას ნებსით მისდევს
ფიქრი სწრაფმსრბოლი,
თეთრ სანათურში სივრცე ქვეყნით
დაისაზღვრება,
აგვისტოს მიმწუხრს წვიმის შხაპი
ამოდ ანელებს,
ჯერ საღამოა...

ს ა გ რ ო ბ ა

ეს სიმაღლეა – მარტოსულობა:
ყველასთან ყოფნა
და დადუმება...

ს ი ვ რ ცე

..ისიც დასცილდა, მთოვარი ვარსკვლავს:
ცისკრის რომ ჰქვია ანუ – მიმწუხრის..
ისე გაღრუვდა შორისი, ხამად,
თითქოს ქვეყანა გაჩნდა სულ სხვისი...

შერთვა

ეს შეპარება ლურჯეთში
ისე თავისად ხდება,
ისევ წაგიღებს, უკლებლივ,
გადაგავიწყებს ყველას!.
ცისფერი..
იასამანი..
დაურვებულად ცქერა...

ა ვ დ ა რ ი

ხმიანდებიან ხეზე ფოთლები,
აწრიალდება მთელად ბორჯღალი –
ხე ატოკდება, გადაქანდება –
ქარი გარს უვლის...
ერთ გრძელ შრიალად ხმოვნდება როკვა,
ტალღა დაუვლის მიწის ზედაპირს
და დაბრუნდება ხელებად მსრბოლთა,
გზა რომ არ უწყით..
სუნთქვას გაუწვდის განწოწილ ტოტთა
და კენწეროთა ხმას მიასწრაფებს,
ერთურთს მიახლის ამართულ ჩქოლთა –
სინორჩეს უთვლის!.
მსხვერპლად, საწუთროს,
ზვარაკს რომ ელის...

კ ვ ა ლ ი

ვით იშლებიან ფშანები ტოტის:
რიყეში კვალვად და დაბრუნებად:
ან გადაკარგვად...

დ ა ვ ა ნ ე ბ ა

სამოსი დღეთა ფოთლებად ცვივა,
ფარატინებად წვება მიწაზე,
ხილვათა ჩქამნი დუმილს ერთვიან,
ფიქრთა მღელვარეთ..
კრთოლვა სიხარულს შეამკობს ღიმად,
სინანულს სევდა რინდით შეავსებს...

კ ო ნ ტ რ ა პ უ ნ ქ ტ ი

ჰანგთა ნაკადმა განქოლა სივრცე,
ვარდის ცხელ ალში შთებოდა დღის წრე,
სულშეკუმულნი ვმარცვლიდით ფიქრებს,
ხმათ ნანაობამ წაგვგვარა ცისკენ!
შემოგვაბრუნა ძახილმა კაცის:
არ დამტოვოთო მარტოკა ქარში!..
მუსიკა შლიდა საღერღელს თვითმწდედ,
თასებს გვივსებდა სარწყულით პირქვე...

კ რ ძ ა ლ ვ ა

როცა სირბილე სახეს აოცებს,
გვერდით ჩაირბენს ციმი!
სხვას მიაშურებს,
სხვას ააჩქროლებს,
სხვას დაუტოვებს ღიმილს!.
როცა სილურჯე მთვარეს აობლებს,
ის სახე ჰყვება
ჩივილს...

ა მ ო ძ ა ხ ი ლ ი

ის მოთმინება მასმინე,
ძველ სიმღერებში რომ საგრობს,
ის რუდუნება მასწავლე,
ჩუქურთმის ხაზში რომ ბუდობს!
ვაზში რომ მზის თვალს იწურავს,
ხმაში რომ გულს გააბიჯებს –
ის სიყვარული მაწიე...

თ ნ ო ბ ა

თხრობას მიაგავს გულისთქმათ ჯერი,
ამბავთ ყოფნისა,
ღამის მღვიმეში,
ბუხრის მცვრივ ალთან,
გუნდრუკის კმევას,
შობის დღის კვესში...

წმინდა ოჯახი

მე შევთავაზე: დავიყუჩოთ-თქო,
იღაღადებენ თავადად ბჭენი..
მან შემომიგო – საცხოვრისადო,
მიწა გვარგუნა განგებამ ზენით..
მე შევჩურჩულე, „სიჩუმის ღვენთში
თვისით იხსნება ყოველი წირვა...“
მან უხმოობას გადაუცადა
და შემომიგო, „ვითარ მწყურია!..“
მე გავუწოდე პეშვით ნოტიო,
ღათუ შიგ წვეთიც არა ქყვიოდა,
ესე თვით იყო ჩქერი, მონიო,
ხვატის გამტეხი, სურვილთა ჯარა!.
მან ისევ მითხრო – წყალი მომწდეო,
თქორმა დამშხაპოს სხეულის განვლივ,
შემომეტმასნოს ტანზე მღონედო,
სველი სამოსი – ცხოვრების კვართი!.
შემოგვჩეროდა ჩვენი ასული,
თეთრი სახება,
გუგათა ნაღვლი...

თ ვ ი ს ო ბ ა

ჩვენს საცხოვრისში ვანი იყუჟებს –
ერთურთის თნობის თეთრი ნუგეში,
მოლოდინია სივრცეთა ხვითო
ნდობის ყურეში..

ტ ა რ ო ს ი

დღეა გრძელი,
არვის ელი,
როგორც თევზი
რიყის ქვებზე..
თუ მეყვსობად
მთაში ჭევლი
არ დაჩქერდა
მიწის მკერდზე!.
და ნოტიო
არ მოსუნთქა
მაცოცხლებელ
ზვირთის შხეფზე
და ნჩქრეული
სხეულ-თხემი
არ წარიღო
ტალღის წვერზე!!.
დღეა გრძელი,
არვის ელი,
როგორც თევზი
რიყის ქვებზე...

გ ა რ დ ა ტ ე ხ ა

ფერი იცვალა: დარმა, ტაროსმა..
მტრედისფერ მწუხრში ქუფრი შეირხა..
შემოქდობილი ღრუბლით თავანი
ქვე ჩამოიქცა,
მიწას ებჯინა!.
ქვირვალ ჰაერში ჟამი შეცორდა
ტყვიისფერ ცრეცად,
დრო შემოდგომით გადაიწია –
ბუნების ფერთა..
და კაცის დღეთა...
ცა ჩამოვიდა: ცხოვრების პირად...

გ ზ ა ვ ნ ი ლ ი

არ დამიწუნო
როს შევხვდებით
შემდეგ
ხნის გავლის
დრო დამეტყობა
უნებს
სხვადასხვა ხაზით
ალბათ შენც სახე
მოგეჩვილება
გულს ნედლი ხავსი
მოეკიდება
თვალში ნისლები გადაირბენენ
შენთან დავრჩები
არ დამიტევენ
სხვაგან დავშთები
ნუ დამიწუნებ
როს შევხვდებით
შემდეგ
ხნის გავლის
წესი არის
ცხოვრებისა
ღონება კაცის

ს ი ლ ა მ ა ზ ე

გადაფარა,
მწყაზარობამ –
გაყუჩა,
გალულა,
გალურსა.....

შ ი ნ ა ა რ ს ი

დაძინება – დუმილს აგავს,
სივრცეობის დაშთობას,
დროის ხვნეშს ჰგავს,
გაქრობას..
ანაზდეულ ჩქამს მიაგავს,
ხანგრძლივობის გახლტომას,
ჩურჩულს კრიფავს გონის შინით,
განდობას...

დ ა ყ უ დ ე ბ ა

აქ სიწყნარეა,
ფიქრის ნუგეში –
უფლება ცდომის
და გამართლების,
როგორც მღვიმეში,
დრო ოდეს ზეობს
სივრცის უბეში
და სამყაროს თხზავს
უცხო სიმართლის,
სიბრძნის და თნობის
და აღტყინების –
ცნობის ყურეში...

პ ო რ ტ რ ე ტ ი

სითეთრე, ქათქათა, შუქს შეჯერებია,
სხივთ უკან აბრუნებს – წრეგანით, ცისიერს,
თვალს გულის სიცქაფე გუგით მობჯენია,
ასხლეტილ ანარეკლთ სიღმეში იტოვებს!.
სპეტაკ ტახტრევანზე სიცივე სვენილა,
ვით კდემის სიმაღლე – სულის სინატიფე!.
ცისფერის სისოვლით უპე წყლიანდება,
და ხილვებს ამძივებს.....

ს ხ ვ ა

დავუბრუნდები „ჯადოსნურ ამბებს“
(„ხალხს უჩვეულოს“, „ამბებს-არაკებს“),
ღამე გადადგა თენადი დღისკენ,
გაღლილ გონებას მნე ხიბლთა იხმევს
(რთავს მსხემთა ხილვებს)..
დავუბრუნდები არაკებს ზღვისფერს...

მ ო ხ ე დ ვ ა

მაცის

სიშორიდან მოსჩანს ალი ვნებათღელვის:
ძველ გრძნობების და ოცნების,
სიხარულის და ცდომების –
საწყაულის სრულად დაცლის და
და აღვსების!.
გრილი გონი მას მოიხილვს წყნარის თვალით,
როგორც ტაროსს შორით მგზავრი –
რომ ცხოვრება ერთი არი,
და სიცოცხლეც
დასახარჯი...

სიშორიდან მოსჩანს ალი, როგორც კვარი...

. . .

საიდუმლოა კვლავ ღამის ზეცა,
ჩამორეკლილი მიწით ჩრდილები,
რეცა ღრუები მაღლით და ქვენად –
საწყაულები...

ს ი ტ ყ ვ ა

ხან დაკვირდები ცხოვრებას –
როგორც მრავალფერ მწუხრია,
ხან ათქვირდება თავანი –
მზე შეაფიცხებს მრუდია!.
თან გაკვირდები ოცნებას,
რო ყველაფერის გულია...

გ ზ ა

დრო-სივრცის კვალში მიჰყვები მრუდებს,
შუქიც რომ დრკება, ამბავთ მთხრობელი,
გარს შემოუვლის უხილავ ბორცვებს
და ამ ამბავსაც აღნუსხავს კრთომით..

დ ა ბ ა დ ე ბ ა

თავისთავში ჩაიღუა არაფერის წვეთი,
ერთ წერტილში ჩაიჭირხნა ყველა ფერის ჯერი,
მომავალი სუნთქვას იწყებს, ბრუნვას სოფლის ღერძი,
დღის სინათლე იღვიძებს და
ამოხდება ფერი.....

სარჩევი

თაური 4
გზამკვლევი 5
სიცოცხლე 6
სახმილი 7
შედგომა 8
წერილი 9
ღიმილი 10
შეხმიანება 11
წყობა 12
ცხოვრება 12
ბუნება 13
გაფრთხილება 13
სწრაფვა 14
ზღვაზე 15
სხვაობა 15
შეგონება 16
სახება 16
გადასვლა 17
ფიქრები 17
ომარდურმიშიძეს 18
დაკვლავაც 19
მესვეტე 20
სიმართლე 20
ჟამი 21
მერაბმამარდაშვილს 22
შეხსენება 22
ბარათი 23
მღვიმე 24
შთენა 25
კავები 25
მიდევნება 26
ქარი 27

ცნება 28
რუსეთი 29
მისნობა..... 30
ცთუნება 30
განწყობა..... 31
გაგრძელება 32
ამბავი 33
ლოცვა 34
შორისი 34
პასუხი..... 35
მთაში..... 36
სალის 36
შეხვედრა 37
ქართველი..... 38
აღიარება 39
კვალედი 39
შემოდგომა..... 40
კავშირი..... 40
ცოდნა..... 41
ზმობა..... 41
გრძნეულება 42
სვლა..... 43
შევარდნაძე 44
განმარტება 45
სათქმელი..... 46
გარჩევა 46
გაყოლა..... 47
მოხმობა..... 48
მეყვსად..... 48
ნებად..... 49
მთავარი..... 50
შუილი 50
ჟინი 51
ზაფხული 52

შეკითხვა 53
ხვალ დაივიწყებს... 54
ხმა 55
ზმნობა 56
გაცხადება 56
სამანი 57
სვე 58
ბწკარედი 59
წამი 60
საგრობა 60
სივრცე 61
შერთვა 62
ავდარი 63
კვალი 64
დავანება 64
კონტრაპუნქტი 65
კრძალვა 66
ამოძახილი 67
თნობა 67
წმინდაოჯახი 68
თვისობა 69
ტაროსი 70
გარდატეხა 71
გზავნილი 72
სილამაზე 73
შინაარსი 73
დაყუდება 74
პორტრეტი 75
სხვა 76
მოხედვა 77
საიდუმლოა კვლავ ღამის ზეცა... 78
სიტყვა 78
გზა 79
დაბადება 79